

## ❖ კათედრის დებულება

### საგნობრივი კათედრის მუშაობის ზოგადი

#### დებულება

##### მუხლი 1. ზოგადი ნაწილი:

- 1.1. კათედრა წარმოადგენს საგნის მასწავლებელთა გაერთიანებას;
- 1.2. კათედრა ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლებას, კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობას;

##### მუხლი 2. კათედრის მუშაობის ორგანიზება:

- 2.1. კათედრის მუშაობას ხელმძღვანელობს თავჯდომარე, რომელსაც კათედრის წევრები ირჩევენ ერთი სასწავლო წლის ვადით.
- 2.2. კათედრის მუშაობის აღრიცხვას და ინფორმაციული უზრუნველყოფას ახორციელებს კათედრის თავჯდომარე, რომელსაც კათედრის წევრები ირჩევენ ერთი სასწავლო წლის ვადით.
- 2.3. კათედრის თავჯდომარეს ევალება:
  - ✓ კათედრის მუშაობის ორგანიზება და მართვა;
  - ✓ სხვა კათედრებთან კოორდინებული მუშაობის უზრუნველყოფა;
  - ✓ კათედრის სხდომების ჩატარება;
  - ✓ კათედრის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულების კონტროლი, შედეგების ანალიზი;
  - ✓ მუშაობის წლიური ანგარიშის წარდგენა დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოსათვის;
- 2.4. კათედრის მდივანს ევალება:
  - ✓ კათედრის მუშაობის საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;
  - ✓ სხდომების საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფა;
  - ✓ მოიძიებენ და გამოიყენებენ სწავლებისათვის საჭირო მასალებს რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციას;
  - ✓ მოსწავლეებს ჩამოუყალიბებენ დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევებს;



## კათედრის საქმიანობის

### მიმართულებებია:

- ✓  საგნის/საგნების სწავლების კოორდინაცია
- ✓  სახელმძღვანელოების შერჩევა
- ✓  დამხმარე სასწავლო მასალებთან და ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნებთან დაკავშირებით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება

- ✓  რეკომენდაციების შემუშავება ახალ მეთოდოლოგიებსა და მიდგომებთან დაკავშირებით
- ✓  პროფესიული განვითარებისათვის სათანადო გზების დასახვა

### 3. გამოცდილების გაზიარება

- ✓ პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით უკავშირდებიან სხვადასხვა სკოლის პედაგოგებს;
- ✓ პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას;

#### 3.1 სახელმძღვანელოების შერჩევა :

- ✓ კათედრის წევრი ყველა მასწავლებელი აქტიურ მონაწილეობას იღებს განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოების შერჩევაში;
- ✓ სახელმძღვანელოების შერჩევა მოხდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებული წესების სრული დაცვით, სწავლების დონეების გათვალისწინებით;

#### 3.2 პროფესიული განვითარება და ვალდებულებები:

- ✓ კათედრაზე გაერთიანებული პედაგოგები იცნობენ საქართველოს განათლების ეროვნულ და საერთაშორისო კანონებს;
- ✓ იცნობენ სასკოლო გარემოს, სკოლის დოკუმენტებს (მისია, კოდექსი, შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი.) და აცნობიერებენ მასში საკუთარ როლს და პროფესიულ ვალდებულებებს;
- ✓ პედაგოგები საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ცვლილებებს დროულად ეხმინებიან;
- ✓ პედაგოგთა პეოფესიული დაოსტატების მიზნით კათედრაზე ტარდება ტრენინგები;
- ✓ იციან რეფორმის მიზნები და ამოცანები, სასწავლო გეგმების მიზნები და ამოცანები, სწავლების ძირითადი თეორები, ახალი მეთოდები და შეუძლიათ ამ ცოდნის საფუძველზე სწავლების დაგეგმვა;
- ✓ პატივს სცემენ მოსწავლის პიროვნებას და მის ღირსებას, იცავენ ბავშვთა უფლებებს და თანამშრომლობენ მათთან;
- ✓ კათედრაზე გაერთიანებული პედაგოგები იცნობენ საქართველოს განათლების ეროვნულ და საერთაშორისო კანონებს;
- ✓ იცნობენ სასკოლო გარემოს, სკოლის დოკუმენტებს (მისია, კოდექსი, შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი.) და აცნობიერებენ მასში საკუთარ როლს და პროფესიულ ვალდებულებებს;
- ✓ პედაგოგები საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ცვლილებებს დროულად ეხმინებიან;
- ✓ პედაგოგთა პეოფესიული დაოსტატების მიზნით კათედრაზე ტარდება ტრენინგები;
- ✓ იციან რეფორმის მიზნები და ამოცანები, სასწავლო გეგმების მიზნები და ამოცანები, სწავლების ძირითადი თეორები, ახალი მეთოდები და შეუძლიათ ამ ცოდნის საფუძველზე სწავლების დაგეგმვა;

- ✓ პატივს სცემენ მოსწავლის პიროვნებას და მის ღირსებას, იცავენ ზავშვთა უფლებებს და თანამშრომლობენ მათთან;
- ✓ მაწავლებელს აქვს უნარი მიზან მიმართულად შეარჩიოს და გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსების და თანამედროვე ტექნოლოგიები;
- ✓ მოახდინოს რესურსების კლასიფიკაცია;
- ✓ უზრუნველყოს რესურსების შენახვა და მისაწვდომობა;
- ✓ აქტიურად გამოიყენოს ინტერნეტ სივრცეში არსებული სასაწვლო რესურსები (აუდიო, ვიდეო ჩანაწერები).
- ✓ იზრუნოს რესურსების მუდმივ განახლებაზე.

### 3.3 შეფასების ღონისძიებების დაგეგმვა:

- ✓ პედაგოგები შეიმუშავენ მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ✓ სასაწვლო პროცესის მონიტორინგისათვის გეგმავს შეფასების ფორმებს, აწარმოებს ჩანაწერებს, შედეგების მშობლებისათვის გასაცნობად შეუმუშავენ გარკვეულ ფორმებს;
- ✓ მოსწავლეთა სწავლის სხვადასხვა შესაძლებლობების გათვალისწინებით ადგენს დიფერენცირებულ დავალებებს;

### 3.4 ახალი მიდგომები:

- ✓ გაკვეთილები დაგეგმონ ეროვნულ სასაწვლო გეგმაში არსებული მოთხოვნების მიხედვით;
- ✓ მოსწავლეების მოტივაციისათვის გამოიყენონ სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები და რესურსები, მიაღწიონ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში;

### 3.5 საერთო ღონისძიებები:

- ✓ პედაგოგები განსაზღვრავენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლებს და დაუსახავენ რეალურ მიზნებს, შესაძლებლობას მისცემენ შექმნან სასწავლო შემოქმედებითი პროექტები;
- ✓ მოსწავლეს აქტიურად ჩართავენ სასკოლო და სკოლის გარეთ გამართულ სასწავლო შემოქმედებით კონკურსებში;
- ✓ ხელს უწყობენ მოსწავლეთა ინიციატივებს, წახალისებენ დამოუკიდებელ სწავლას, რისთვისაც შეიმუშავენ წახალისების მექანიზმებს;
- ✓ უცხო ენის პედაგოგები კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამოიშვების მიზნით აყალიბებენ სხვადასხვა წრეებს (დებატ კლუბი, მთარგმნელთა კლუბი, საბაშო თეატრალური კლუბი.)

## მუხლი 4. კათედრის დებულების მიღება , ცვლილებების შეტანა:

4.1 კათედრების დებულების პროექტს შეიმუშავენ პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილეობით;

4.2 კათედრის დებულებაში ცვლილების შეტანის ინიციატივის უფლება აქვს კათედრას, ადმინისტრაციას;

4.3 კათედრის დებულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში ცვლილებების პროექტი განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე;

4.4 შემუშავებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დირექტორის მონაწილეობით;

### ❖ კათედრაზე გასათვალისწინებელი საკითხები

საგნის სწავლების კოორდინაცია;

სახელმძღვანელოების შერჩევა;

შეფასების სისტემის განხილვა;

საგნის სწავლების მინიმალური ბარიერის დაგენა და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მოსწავლე (კლასების მიხედვით);

პროფესიული გზების დასახვა;

რეკომენდაციების შემუშავება , დამხმარე სასაწავლო მასალებსა და საჭირო რესურსების შესახებ;

რეკომენდაციების შემუშავება ახალი მეთოდოლოგიებისა და მიდგომების შესახებ;

ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წიანაპირობების განსახლვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობის წარმოება;

### ❖ თავჯდომარის არჩევა, მისი ფუნქციები:

კათედრის წლიური სამუშაო გეგმის შემუშავება;

სემესტრული და წლიური კათედრის ანგარიშები;

რეგულარული შეხვედრების ორანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და საბუთების წარმოება);

საგნობრივი ჯგუფის გადაწყვეტილების მიწოდება სკოლის მართვის ორგანოებისათვის;

პროფესიული გავითარებისათვის სასარგებლო ღონისძიების ორგანიზება, (ტრენინგები კონფერენციები);

წლის დასაწყისში - პროგრამებისა და არჩეული სახელმძღვანელოების განხილვა, რა ესაჭიროებათ მასწავლებლებს წლის განმავლობაში, რა პრობლემების გადაჭრაა აუცილებელი, რა რესურსების გამოყენება ინება საჭირო ეფექტური სწავლებისათვის;

შემაჯამებლების აუცილებელი რაოდენობის დადგენა –დამტკიცება;

სემესტრის ბოლოს სტანდარტის შესრულების მიმდინარეობის განსაზღვრა ანალიზი;

### ❖ კათედრაზე გასათვალისწინებელი საკითხები

✓ საგნის სწავლების კოორდინაცია;

- ✓ შეფასების სისტემის განხილვა;
- ✓ საგნის სწავლების მინიმალური ბარიერის დაგენა და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მოსწავლე (კლასების მიხედვით);
- ✓ პროფესიული გზების დასახვა;
- ✓ რეკომენდაციების შემუშავება , დამხმარე სასაწავლო მასალებსა და საჭირო რესურსების შესახებ;
- ✓ რეკომენდაციების შემუშავება ახალი მეთოდოლოგიებისა და მიდგომების შესახებ;
- ✓ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობების განსახლვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

#	საქმიანობა	კონკრეტული აქტივობები
1	საგნის სწავლების კოორდინაცია	სილაბუსების შედგენა. მოსწავლეთა მონიტორინგი. მასწავლებელთა მონიტორინგი.
2	გამოცდილების გაზიარება. პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. წარმატებების წინაპირობების განსახლვრა.	თემატური შეხვედრები. სემინარები. ურთიერთდასწრება. მასწავლებლის კრიტერიუმები
3	სახელმძღვანელოების შერჩევა.	სხდომა
4	შეფასების პრინციპების დადგენა.	სხდომა
5	ინტერდისციპლინური ურთიერთობები.	ინტეგრირებული გაკვეთილები. ინტეგრირებული ღონისძიებები
6	პროფესიული განვითარების გზების დასახვა	კვლევა. ტრენინგები.
7	რეკომენდაციები ახალი მიდგომებისა და პედაგოგიური ტექნოლოგიების შესახებ <input type="checkbox"/>	კვლევა. პრობლემური შეხვედრები. სხდომა.
8	საუკეთესო მოსწავლეების წარმოჩენა და მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავებ	მოსწავლის კრიტერიუმები. <input type="checkbox"/> მოსწავლეთა რეიტინგები.

	□	
9	სტანდარტის შესრულება	მოსწავლეთა მონიტორინგი. კვლევა. ცვლილებების დაგეგმვა.
10	ეფექტური მუშაობა	სასწავლო გეგმა სამუშაო გეგმა. მოვალეობების დანაწილება.

### ❖ □ კათედრის დოკუმენტაცია

1. მასწავლებლების მონაცემთა რუკა.
2. საუკეთესო მასწავლებლის კრიტერიუმები.
3. საუკეთესო მოსწავლის კრიტერიუმები.
4. კათედრის მუშაობის ძირითადი მიმართულებები.
5. კათედრის სემესტრული სამუშაო გეგმა.
6. მასწავლებლების სილაბუსები
7. შეფასების კომპონენტები.
8. სახელმძღვანელოების ნუსხა.
9. პრობლემების აღწერის ცხრილი.
10. კათედრის წევრთა შეხვედრების გრაფიკი.
11. კათედრის წევრების შეხვედრების მოკლე აღწერა.
12. მასწავლებელთა მონიტორინგის მასალები.
13. მოსწავლეთა მონიტორინგების გრაფიკი.
14. მოსწავლეთა მონიტორინგების შედეგების ანალიზი.
15. ოლიმპიადებისა და კონფერენციების გრაფიკი.
16. ოლიმპიადებისა და კონფერენციების შედეგების ანალიზი.
17. მოსწავლეთა რეიტინგები.
18. მასწავლებელთა რეიტინგები.
19. მასწავლებელთა პორტფოლიოების მონიტორინგის მასალები.

20. მასწავლებელთა ანგარიშები.

### ❖ კათედრების სამუშაო გეგმა

#### მიზანი, ამოცანები სტანდარტი

1. საგნობრივი ჯგუფის საგნის / საგნების სწავლების კოორდინაცია
2. ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, წარმატების წინაპირობის განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.
3. სახელმძღვანელობისა და დამხმარე ლიტერატურის შერჩევა.
4. შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შემუშავება.
5. სხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობა.
6. პროფესიული განვითარებისათვის წლიური გეგმის შემუშავება.
7. რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკის საჭირო წიგნების შესახებ.
8. მუშაობა ახალ სასწავლო მეთოდოლოგიებზე, მოდელებსა და მიდგომებზე.
9. სსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა.
10. სწავლების ხარისხის ამაღლება

მიზანი, ამოცანები სტანდარტი		შესრულების დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
#	<b>კათედრის თავ-რის სამუშაო გეგმა</b>			
1	კათედრების წევრების შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება( დღის წესრიგის მომზადება, ოქმების და საბუთების წარმოება)	წლის განმავლობაში	კათედრის ხელმძღვანელი	
2	კათედრის შეხვედრებზე წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობა და საერთო გადაწყვეტილების მიღება	წლის განმავლობაში	კათედრის წევრები	

3	საგნობრივი ჯგუფის საგნის / საგნების სწავლების კოორდინაცია	წლის განმავლობაში	კათედრის ხელმძღვანელი	
4	კათედრაზე წევრებთან ერთად კონკრეტულ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა	შედგები	კათედრის წევრები	
5	გამოცდილების გაზიარება, წარმატების წინაპირობის განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება	წლის განმავლობაში	კათედრის წევრები	
6	კათედრების წევრებმა სასწავლო წლის დასაწყისში (სემესტრში მინიმუმ ორჯერ იკრიბებიან) შეკრებაზე უნდა მოახდინონ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების შესაბამისად:  ა) სახელმძღვანელოების განხილვა–შერჩევა .  ბ) შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შემუშავება.	სექტემბერი  ოქტომბერი	კათედრის წევრები	
7	კათედრის წევრებთან ერთად პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა	წლის განმავლობაში	კათედრის წევრები	
8	სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდების დანერგვა	წლის განმავლობაში	კათედრა დირექცია	
9	სწავლების ხარისხის ამაღლება,  სწავლა–სწავლების ხარისხი მართვა;	წლის განმავლობაში	მონიტორინგის სამსახური	
10	მოსწავლეებისადმი რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკის საჭირო წიგნების შესახებ	წლის დასაწყისში	კათედრის წევრები	
11	რეკომენდაციის შემუშავება ახალი მეთოდოლოგიებისა და მიდგომების შესახებ	წლის განმავლობაში	კათედრის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი	
12	სხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობის წარმოება(მაგ: ისტორია და ქართულში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვა)	წლის განმავლობაში	უცხოური ენებისა და ქართული ენა ლიტერატურის კათედრები	



13	პროფესიული განვითარების წლიური გეგმის შემუშავება	სექტემბერი	კათედრის წევრები	
14	პროფესიული განვითარებისათვის წლიურ გეგმაში ასახული ღონისძიებების (შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვა) მოწყობა	წლის განმავლობაში	კათედრა, დირექცია	
15	ეფექტური სწავლებისათვის მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე პრობლემების გადასაჭრელად სათანადო გზებისა და რესურსების ძიება–დანერგვა	წლის განმავლობაში	კათედრის წევრები	
16	სსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა.	სექტემბერი ოქტომბერი	კათედრის ხელმძღვანელი დამრიგებელი	
17	საგნობრივი ჯგუფების გადაწყვეტილების მიწოდება სკოლის მართვის ორგანიზებისთვის ( მაგ. წიგნების არჩევანის თაობაზე)	წლის განმავლობაში	კათედრის ხელმძღვანელი	
18	სემესტრის ბოლოს კათედრამ გადახედოს და შეაფასოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულების მიმდინარეობა, მოახდინოს პრობლემების გამოვლენა, შეფასება და განხილვა თუ რა ხარისხით იქნება შესაძლებელი ყველა მოსწავლისათვის საგნობრივ პროგრამებში აღწერილი შედეგების მიღწევა.	დეკემბერი მაისი	კათედრის წევრები	
19	შესაძლებელია კათედრებმა შემოიღონ თითოეული საგნობრივ ჯგუფში საუკეთესო მოსწავლის ( საფეხურის ან კლასის მიხედვით პრიზი, რომელიც ყოველ წელს სკოლის დამთავრებისას საერთო შეკრებაზე გადაეცემათ)	სემესტრის, წლის ბოლოს	კათედრა დირექცია	
20	სასწავლო რესურსებისა და აქტივობების ეფექტური გამოყენება, სამოდულო გაკვეთილების განრიგის შედგენა.	წლის განმავლობაში	კათედრის წევრები	
21	მასწავლებლის წლიური სასწავლო კურსის „სილაბუსის“ შედგენა–დანერგვა	სექტემბერი	კათედრის წევრები	

22	მასწავლებლის პორტფოლიოს წარმოება.	წლის განმავლობაში	მასწავლებელი	
23	მოსწავლეთა მზადება კონფერენცია ოლიმპიადებისათვის.	I სემესტრი	მასწავლებელი	
24	დირექტორის ინფორმირება სხვადასხვა საკითხზე და ყოველთვიური ანგარიშის წარდგენა	წლის განმავლობაში	კათედრის ხელმძღვანელი	
25	ტესტირება შედეგების ანალიზი	წლის განმავლობაში	მასწავლებლები	
26	უცხოური ენების კვირეული	ნოემბერი	მასწავლებლები მოსწავლეები	
27	სახალისო ღონისძიებების დაგეგმვა	დეკემბერი მაისი	კათედრის წევრები	
28	მონაწილეობა პროექტებში	წლის განმავლობაში	მასწავლებლები მოსწავლეები	
29	მოსწავლეთა და მასწავლებელთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარება	დეკემბერი	მოსწავლეების და მასწავლებლების	
30	სემესტრული სასკოლო წერების მომზადება და ჩატარება	დეკემბერი მაისი	კათედრა დირექცია	
31	საქალაქო და სხვა კონკურსებში მონაწილეობა	წლის განმავლობაში	კათედრა, მოსწავლეები	

## საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა

„ჩირაღდანი“-ს ზუგდიდის კერძო სკოლა-გიმნაზიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა აერთიანებს ბიოლოგიის, ფიზიკის, და ქიმიის დისციპლინებს. ვინაიდან სამყარო ერთიანია, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია დავანახოთ მოსწავლეებს გარემომცველი სამყაროს კომპონენტები სხვადასხვა კუთხით და გზით, მივცეთ მათ შესაძლებლობა განსაზღვრონ თავიანთი ადგილი სამყაროში.

სწავლებისადმი თანამედროვე მიდგომა გულისხმობს რაც შეიძლება მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე კათედრაზე მუდმივად ეწყობა სხდომები, სადაც განიხილება წლიური სასწავლო გეგმები, ახალი სახელმძღვანელოები, იგეგმება ღონისძიებებისა და სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების თარიღები. სკოლის მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ როგორც საქალაქო ისე რესპუბლიკურ კონფერენციებში.

კათედრა მჭიდროდ თანამშრომლობს სკოლის სხვა კათედრებთან, საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები მუდმივად იმაღლებენ კვალიფიკაციას ტრენინგებსა და სემინარებზე.

**კათედრის ხელმძღვანელი:** ნათია ჭურღულია

**წევრები:**

- |                      |                    |
|----------------------|--------------------|
| 1. ფერიცა მირცხულავა | 5. მილანა ვარდაია  |
| 2. თამუნა სიჭინავა   | 6. თინათინ ქობალია |
| 3. ანგელინა ესართია  | 7 კობა მირცხულავა  |
| 4. იზოლდა ქირია      |                    |

## ქართული ენა და ლიტერატურა

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის შემოქმედებითსა და აქტიურ ცხოვრებაში. კათედრა ყურადღებას ამახვილებს სწავლების ახლებური მეთოდის დანერგვასა და განხორციელებაზე.

წლის დასაწყისშივე კათედრა ირჩევს და ამტკიცებს სახელმძღვანელოებს, ადგენს სასწავლო გეგმებს.

კათედრის ხელმძღვანელობით იმართება კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, ეწყობა სასწავლო ექსკურსიები და ღია გაკვეთილები.

**კათედრის ხელმძღვანელი:** თეა კვიციანი

### წევრები:

1. ირმა დარასელია
2. მილანა ვარდაია
3. ანგელინა ესართია
4. ნინო ხორავა
5. თინათინ ქობალია

### საზოგადოებრივი მეცნიერებები

კათედრა სასწავლო წლის დასაწყისშივე იხილავს სამომავლო სამუშაო გეგმას. ირჩევს ისტორია-გეოგრაფიასა და სამოქალაქო განათლებაში გრიფმინიჭებულ სასწავლო სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურას.

შეხვედრები კათედრის წევრების შორის იმართება სისტემატურად სასწავლო წლის განმავლობაში. ტარდება ვიქტორინა-კონკურსები კლასებს შორის, გამარჯვებულები ჯილდოვდებიან სპეციალური სიგელებითა და დიპლომებით.

**კათედრის ხელმძღვანელი:** ჯ.კვარაცხელია

### წევრები:

1. ფერიცა მირცხულავა
2. ზაურ აბაკელია
3. ანდრია ქობალია

### მათემატიკისა და ისტ კათედრა

კათედრაზე წლის დასაწყისშივე იგეგმება კათედრის წლიური სხდომები, სადაც განიხილება არა მარტო სწავლების ახლებური მეთოდების დანერგვის ხერხები, არამედ-თითოეული კლასისადმი ფსიქოლოგიური მიდგომა და სწავლების დონე.კათედრა ირჩევს და ამტკიცებს სახელმძღვანელოებს, ირჩევს კონფერენციებზე გასაშვებ მოსწავლეებს.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გარეშე დღეს წარმოუდგენელია პროგრესი სახემწიფოს და საზოგადოების ნებისმიერ სფეროში.ინფორმაციული საზოგადოების შექმნა და მსოფლიოს ინფორმაციულ სივრცეში მისი ინტეგრირება ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტულ ამოცანად არის მიჩნეული თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ინფორმატიკის კაბინეტი.

**კათედრის ხელმძღვანელი:** მ.ჯგუშია

### წევრები:

1. მაია ქათალანძე
2. მილანა ვარდაია
3. ანგელინა ესართია
4. თინათინ ქობალია
5. ნინო ჯიქია

## უცხოენების კათედრა

(ინგლისური; გერმანული; რუსული)

კათედრაზე სასწავლო წლის დაწყებამდე ინიციატორები გრიფინიჭებული სასწავლო სახემდგანელოებისა და დამატებითი ლიტერატურის სია. კათედრა უზრუნველყოფს არა მარტო უცხო ენების შესწავლის მაღალ ხარისხს, არამედ ასევე ვრცელ ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურისა და ტრადიციების შესახებ.

უცხოენების კათედრა მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრებთან, ერთობლივად აწარმოებენ სხვადასხვა სახის კლასგარეშე ღონისძიებებს

**კათედრის ხელმძღვანელი:** თ.ბარძეიშვილი

**წევრები:**

1. ირმა მანია
2. ე.კოპალიანი
3. ნინო ჭკადუა